



# საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული და ლაბორატორიული  
შენობის მშენებლობისათვის საჭირო ესკიზის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის  
შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაცია

(CPV-71200000)

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“  
საქართველოს კანონის 102 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო  
შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს  
თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების საფუძველზე

2018 წელი  
ქ. თბილისი

## საკონკურსო დოკუმენტაცია

### 1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

- 1.1. კონკურსით შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით.
- 1.2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.
- 1.3. კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- 1.4. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტი მიენიჭება ქართულ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტს;
- 1.5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
- 1.6. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.
- 1.7. საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.
- 1.8. ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ის გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.
- 1.9. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება, პრეტენდენტი საკონკურსო წინადადების ფასს უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
- 1.10. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ს გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.
- 1.11. საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი.
- 1.12. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.
- 1.13. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- 1.14. ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე, პრეტენდენტს უფლება აქვს, უარი თქვას საკონკურსო წინადადებაზე.
- 1.15. საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისათვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები.
- 1.16. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებით ან/და საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის ან ისეთი საკონკურსო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც არ პასუხობს კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების ან/და საკონკურსო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, გამოიწვევს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.
- 1.17. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე, არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ

მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დაზუსტება.

1.18. შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად მიმართეთ საკონკურსო აპარატს: რუსლან მამარდაშვილი ტელ: 598 20 45 02, ელ. ფოსტა: r.mamardashvili@gmail.com, მის: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქ. #1 (ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციული შენობა).

## **2. შესყიდვის ობიექტი**

2.1 ქ. თბილისში, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული და ლაბორატორიული შენობის ესკიზური პროექტების კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მიზანია ბოტანიკური ბაღის ძველი ადმინისტრაციული შენობის ალტერნატიული, ახალი, თანამედროვე, მთლიანად ადაპტირებული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შენობის აშენება.

## **3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება**

3.1. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 49 200 (ორმოცდაცხრაათას ორასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

## **4. საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშება**

4.1. საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის გათვალისწინებით, გარდა დღგ-სა. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებას დაემატება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.

4.3. საკონკურსო წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას. საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

4.4. პრეტენდენტს საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა არ მოეთხოვება.

## **5. კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონები:**

5.1. ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა - 80%;

5.2. საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა - 20%.

## **6. მომსახურების გაწევის ვადა და პირობები:**

6.1. გაწეული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი #1-ით დადგენილ მოთხოვნებს.

6.2. საპროექტო მომსახურების დასრულება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 ნოემბრის. აღნიშნულ ვადაში პრეტენდენტმა ასევე უნდა უზრუნველყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ (სხვა აკრედიტებული პირის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში, მიმწოდებელმა დასკვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) მომზადებული დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საექსპერტო დასკვნის ღირებულების ანაზღაურება; ექსპერტიზის დასკვნა უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

- გეოლოგია (პროექტის შესაბამისობა გეოლოგიურ დასკვნასთან),
- კონსტრუქცია,
- ელექტროობა,

- სუსტი დენები,
- გათბობა-გაგრილება-ვენტილაცია,
- წყალ-კანალიზაცია,
- ხარჯთაღრიცხვის და მისი პროექტთან შესაბამისობის ექსპერტიზა.

6.3. მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 4 ეგზემპლარად, როგორც A3 ფორმატის ნახედი მასალა, ისე ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად.

6.4. მიმწოდებელმა სრული პროექტი (თანდართული დოკუმენტაციით) და ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქუჩა #1, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციული შენობა.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება ხარვეზი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, ამ ხარვეზით გამოწვეული დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას და ხარვეზის აღმოფხვრისთვის საჭირო სხვა დამატებით ღონისძიებებს მიმწოდებელი განახორციელებს საკუთარი ხარჯით.

## 7. ანგარიშსწორების ვადები და პირობები:

- 7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
- 7.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 7.3. შესაძლებელია შუალედური ანაზღაურება არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30%-ისა.
- 7.4. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.
- 7.5. დაფინანსების წყარო: 2018 წლის ბიუჯეტის სახსრები.

## 8. საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

8.1. საპროექტო ობიექტის არქიტექტურული კონცეფცია, დიზაინი, ვიზუალიზაცია რენდერებისა და ნახაზების სახით, გეგმარების შესაბამისობა კონკურსით მოთხოვნილ პირობებთან, არქიტექტურული მისადაგება არსებულ განაშენიანებასთან; (შენიშვნა: არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს).

**შენიშვნა: არათვლადი კრიტერიუმების შეფასებისას კომისიის ყოველი წევრი ცალ-ცალკე აფასებს კრიტერიუმს 0-10 ქულიან დიაპაზონში, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.**

## 9. ადმინისტრაციული შენობის ესკიზების მომზადებისას მხედველობაში უნდა იქნას

### მიღებული შემდეგი გარემოებები:

- 9.1. ადმინისტრაციული და ლაბორატორიული შენობა განკუთვნილია როგორც ადმინისტრაციული მომსახურებისთვის ასევე სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. შენობაში ასევე უნდა განთავსდეს სხვადასხვა ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზები, სამუშაო-ტექნიკური ეზო და ა.შ.
- 9.2. შენობა უნდა შედგებოდეს ორი სართულისგან.
- 9.3. შენობის ერთი სართულის სუფთა სიმაღლე 3მ გარდა საკონფერენციო დარბაზისა რომლის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 4 მ- ისა.
- 9.4. გათვალისწინებულ იქნას ქვედა მხარეს მდებარე ხევი რომელიც უზენალექიანობისას დიდდება.
- 9.5. გათვალისწინებულ იქნას მოცემული უნიკალური ლანდშაპტი.
- 9.6. პროექტირებისას გათვალისწინებული იქნას თესლის ბანკისთვის გამოყოფილი სივრცე მინუს სართულზე (ოთახმაცივარი -20 გრადუსზე).

- 9.7. შენობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭირო ინფრასტრუქტურით.
- 9.8. ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გათვალისწინებული იქნას ავტოსატრანსპორტო პარკირების ორგანიზება.
- 9.9. შენობის სახურავზე უნდა მოეწყოს მწვანე გადახურვა.
- 9.10. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ადმინისტრაციის შენობა აქტიურად აღიქმება ბოტანიკური ბაღის სხვადასხვა მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი როგორც არქიტექტურულ- გეგმარებით, ისე მოცულობით-სივრცით გადაწყვეტას, რათა მიღწეულ იქნას ბაღის ერთიან სივრცეში ორგანულად და ესთეტიკური თვალსაზრისით საინტერესოდ ჩაწერილი ობიექტების შექმნა.

**10. კონკურსში მონაწილეებს ესკიზური პროექტების დამუშავებისთვის გადაეცემათ შემდეგი დოკუმენტაცია:**

- 10.1. საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა.
- 11. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:**
- 11.1. განმარტებით ბარათს პროექტის მოკლე აღწერით (მაქს. 2500 სიმბოლო) მთავარი იდეის წარმოსახვით და გადაწყვეტილი კონცეფციის წარმოდგენით, ავტორის მიერ შემუშავებული განსხვავებული ხედვის უპირატესობის დასაბუთებით (PDF ფორმატში).
- 11.2. სიტუაციური გეგმა ან აეროფოტოგადაღება საპროექტო ტერიტორიის მონიშნით (მ. 1:2000).
- 11.3. გენგეგმა მომზადებული ტოპოგეგმაზე მიმდებარე ტერიტორიის, მისასვლელი გზის, ტერიტორიაზე შესასვლელის, საკადასტრო საზღვრების, ძირითადი ღერძების, ექსპლიკაციის, საპროექტო შენობის საკადასტრო საზღვრებზე მიბმის, ტერიტორიის კეთილმოწყობის, არსებული და საპროექტო ნიშნულებისა და ლანდშაფტის ჩვენებით (მ. 1:500).
- 10.5. გრძივი და განივი ჭრილები ძირითადი ღერძების, ზომების და ვერტიკალური ნიშნულების დატანით (მ. 1:100).
- 10.6. შენობის ყველა ფასადი (გრაფიკული და ფერადი) ძირითადი ღერძების ზომების და ვერტიკალური ნიშნულების დატანით (მ. 1:100).
- 10.7. ჭრილებსა და ფასადებზე დატანილი უნდა იყოს საკადასტრო საზღვრები. ნახაზებზე დატანილი უნდა იყოს ექსპლიკაცია, შენიშვნები და პირობითი აღნიშვნები. ფასადებზე გამოტანილი ხაზით მითითებული უნდა იყოს მოსაპირკეთებელი მასალა და ფერი.
- 10.8. 3D ვიზუალიზაციას ლანდშაფტზე მორგებით არანაკლებ 6 ხედისა, მათ შორის ახლო ხედებით, ფასადების მოსაპირკეთებელი მასალებისა და დეტალების უკეთესად აღსაქმელად და პანორამული ხედები ფოტომონტაჟების სახით (მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის მითითებით).
- 10.9. ძირითადი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია.
- 10.10. მოთხოვნები მოსაპირკეთებელ მასალებზე: მაღალი ხარისხის და სიმტკიცის, გარემო კლიმატურ ზემოქმედებასთან მიმართებაში მდგრადი მასალა.
- 10.11. პროექტის სამუშაო ვერსია – დაარქივებული 3D, ArchiCAD\_ის ან AutoCAD\_ის ფაილების სახით.

**11. შენობის ფართის გადანაწილება**

#			
1	მისაღები სივრცე, ჰოლი (გათვალისწინებული 20 ადამიანზე)	მ2	50
2	დერეფანი კიბის უჯრედი	მ2	110_130
3	კანცელარია (გათვალისწინებული 2 ადამიანზე)	მ2	12_15
4	არქივი	მ2	10
5	დენდროლოგი	მ2	12_15
6	ინტროდუქციის განყოფილების უფროსის ოთახი	მ2	12_15
7	ინტროდუქციის განყოფილება (გათვალისწინებული 4 ადამიანზე)	მ2	20
8	კონსერვაციის განყოფილების უფროსი	მ2	12_15

9	კონსერვაციის განყოფილება (გათვალისწინებული 6 ადამიანზე)	მ2	25
10	ეთნოზოტანიკის განყოფილების უფროსი	მ2	12_15
11	ეთნოზოტანიკის განყოფილება (გათვალისწინებული 4 ადამიანზე)	მ2	20
12	კავკასიის იშვიათ მცენარეთა სექტორი (გათვალისწინებული 4 ადამიანზე)	მ2	20
13	სამკურნალო მცენარეების სექტორი (გათვალისწინებული 4 ადამიანზე)	მ2	20
14	ქსოვილური კულტურის ლაბორატორია	მ2	40
15	მცენარეთა დაცვის დანიადამცოდნეობის ლაბორატორია	მ2	50
16	თესლის ბანკი (სასურველია განთავსდეს მინუს სართულზე-20 გრადუსზე ოთახ მაცივარი)	მ2	55
17	აიტი სერვისების ოთახი	მ2	20
18	სასადილო	მ2	50
19	სველი წერტილები	მ2	30
20	დაცვის ოთახი ვიდუო მონიტორინგის სივრცე	მ2	20
21	დამლაგებლის ოთახი	მ2	10
22	სამეურნეო განყოფილება (გათვალისწინებული 4 ადამიანზე)	მ2	20
23	საწყობი	მ2	80
24	საქვაბე	მ2	30
25	გენერატორი	მ2	10
26	ავტო სადგომი	ა/მ	10 ან 12
27	ჰოლი, ვესტიბული	მ2	50
28	დირექტორის სამუშაო ოთახი (მისაღები სველი წერტილით)	მ2	30
29	შეხვედრების ოთახი (25 ადამიანზე)	მ2	40
30	ადმინისტრაცია	მ2	25
31	მეცნიერების ოფისი (მოადგილე)	მ2	16
32	ფინანსური განყოფილება, ბუღალტერია	მ2	30
33	საჯარო პროგრამების ხელმძღვანელი	მ2	16
34	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	მ2	30
35	კორპორატიული სერვისების ხელმძღვანელი	მ2	16
36	ეკოგანათლების განყოფილება	მ2	25
37	ბიბლიოთეკა	მ2	80
38	საკონფერენციო	მ2	150
39	კორიდორი, კიბის უჯრედი	მ2	110
40	სველი წერტილი	მ2	12

**\*შენიშვნის ფართის საბოლოო გადანაწილება უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან\***

**12. საპროექტო მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს დოკუმენტები, რომლებიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:**

- 12.1. განმარტებითი ბარათი;
- 12.2. გეოლოგიური კვლევა-ძიება;
- 12.3. ტოპოგრაფია;
- 12.4. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან და მასთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის საბჭოდან მშენებლობის ნებართვა.
- 12.5. ტერიტორიის აზომვითი ნახაზი;
- 12.6. სიტუაციური გეგმა;

- 12.7. გენგემა და ზონირება, ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება, სანიაღვრე და სადრენაჟო სისტემის მოწყობის გეგმა.
- 12.8. არქიტექტურული პროექტი; სართულების გეგმები, ფასადები და ჭრილები, დეტალები, კვანძები, ვიზუალიზაცია (აქსონომეტრია, პერსპექტივა);
- 12.9. კონსტრუქციული ნაწილი-გეგმები, ჭრილები, კვანძები, დეტალები, სპეციფიკაციები;
- 12.10. შიდა და გარე წყალმომარაგება-კანალიზაცია;
- 12.11. შიდა და გარე ელექტროგაყვანილობა, სარეზერვო ელექტრომომარაგება (დიზელ-გენერატორი, ავტომატური გადამრთველით და დამცავი ნაგებობით);
- 12.12. სუსტი დენების პროექტი:
- ა. კომპიუტერული, სატელეფონო და სატელევიზიო ქსელები;
- ბ. სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;
- გ. ვიდეო-სათვალთვალო სისტემა როგორც შენობებში, ასევე ეზოს პერიმეტრზე;
- 12.13. გათბობა-ვენტილაცია-კონდიციონირების პროექტი;
- 12.14. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (გეგმა-გრაფიკით);
- 12.15. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი;
- 12.16. ხარჯთაღრიცხვა.
- 12.17. პროექტი უნდა შეესაბამებოდეს:
1. „მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წ. 28 მარტის N62 დადგენილების, ასევე „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წ. 27 მაისის N361 დადგენილების მოთხოვნებს;
  2. ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებს.
  3. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

საიდენტიფიკაციო/ პირადი ნომერი:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული მისამართი:

პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

-----

(პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი გვარი) ხელმოწერა



ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

--- --- 2018 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“, წარმოდგენილი დირექტორის - ----- სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), ხოლო მეორეს მხრივ „-----“, წარმოდგენილი დირექტორის ---- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) \_ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ანხორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. შესყიდვის ობიექტი ობიექტი, ტექნიკური პირობები და კლასიფიკატორის კოდი**

- 2.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი: საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული და ლაბორატორიული შენობის მშენებლობისათვის საჭირო ესკიზის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
- 2.2 კლასიფიკატორის კოდი:
- 2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია, CNT \_\_\_\_\_ საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებაში.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ ლარს.

**4. მიწოდების ვადა**

- 4.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 ნოემბრს ჩათვლით.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ა(ა)იპ “საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ -----  
-----

## **6. გაწეული მომსახურების ხარისხი**

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.2 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## **7. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ “საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ -----

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## **8. ანგარიშსწორება**

8.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

8.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

8.3 ანგარიშსწორება მოხდება 2018 წლის -----, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.4 შესაძლებელია შუალედური ანაზღაურება არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30%-ისა.

## **9. ფასები**

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## **10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## **11. უფლებების გადაცემა**

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი უფლებმა-მოვალეობები მესამე პირს.

11.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისთვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების

თაობაზე.

11.3 შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველსა, მიმწოდებელსა და მესამე პირს შორის.

## 12. სუბკონტრაქტორები

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინააღმდეგობა ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 13. მხარეთა უფლება მოვალეობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია.

13.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

13.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

14.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

14.3 მომსახურების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

14.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 1 (ათი) კალენდარულ დღეს ან ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი

ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად.

15.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

15.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.8.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 17. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან

17.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

19.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართ(ებ)ი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

20.5 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

20.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით;

## **21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

21.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის ----- ჩათვლით.

## **22. მხარეთა რეკვიზიტები:**

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

-----

-----